ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4865618

ნომერი: AR1720168

თარიღი : 21.11.2019

გაცემის თარიღი : 18.02.2020

გაცნობის თარიღი : 28.02.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საკოლმეურნეო მდელო N1ა (ხიზაბარვის ქუჩა);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეა უგულავა პ/ნ 62001014950
- სოხუმი ი.ჭავჭავაძის ქ. N 84

ორგანიზაცია:

- სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური კოდი: 205270053

აღსრულების საკითხი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2018 წლის 28 ოქტომბრის №1653 ბრძანების აღსრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 10 სექტემბრის №337760 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 10 სექტემბრის №337760 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, საკოლმეურნეო მდელო №1ა-ში (ხიზაბავრის ქუჩა) მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.11.12.019.056) მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის მშენებლობის მშენებლობის მიზნით დამტკიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე 2017 წლის 07 დეკემბრის №3722533 ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
საჯარო რეესტრის მონაცემებით (განცხადების ნომერი #882019058103; მომზადების თარიღი 29/01/2019 წ.) დგინდება, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი 2019 წლის 29 იანვარს გაერთიანდა მომიჯნავე, №01.11.12.019.169 საკადასტრო კოდით დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან და დარეგისტრირდა №01.11.12.019.197 საკადასტრო ერთეული.
2019 წლის 01 მარტის №AR1665162, 2019 წლის 11 მარტის №AR1665780 და 2019 წლის 15 მარტის №AR1668347 განცხადებებით მოთხოვნილი იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა განახლებული საკადასტრო ერთეულის (ს/კ: №01.11.12.019.197) დაფიქსირების მიზნით. მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა სამსახურის2019 წლის 04 მარტის №4399002, 12 მარტის №4409138 და 22 მარტის №4425639 გადაწყვეტილებებით.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ოქტომბრის №1653 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 მარტის №4399002, 12 მარტის №4409138 და 22 მარტის №4425639 გადაწყვეტილებები და სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდგომ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2018 წლის 28 ოქტომბრის №1653 ბრძანებისა და განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2012 წლის 10 სექტემბრის №337760 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს გაერთიანებული მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.11.12.019.197) იმ პირობით, რომ ცვლილება განხორციელდება მხოლოდ 2017 წლის 07 დეკემბრის №3722533 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის დასრულების მიზნით, მიწის ნაკვეთების გაერთიანებამდე №01.11.12.019.169 საკადასტრო კოდით დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (ფართობი: 627 კვ.მ) რესურსის გამოყენებისა და აღნიშნულ ტერიტორიაზე (627 კვ.მ) 2012 წლის 10 სექტემბრის №337760 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე მშენებლობის განხორციელების უფლების გარეშე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოსმთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №20-105 დადგენილებითდამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 10 სექტემბრის №337760 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო კოდი: №01.11.12.019.197, საკადასტრო გეგმა (განცხადების ნომერი #882019058103; მომზადების თარიღი 29/01/2019 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (განცხადების ნომერი # 882019108706, მომზადების 15/02/2019 წ.) და შენიშვნა: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება შეტანილია სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3722533 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის დასრულების მიზნით, მომიჯნავე მიწის ნაკვეთთთან გაერთიანებამდე №01.11.12.019.169 საკადასტრო

კოდით დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (ფართობი: 627 კვ.მ) სამშენებლო რესურსის გამოყენებისა და აღნიშნულ ნაწილზე (627 კვ.მ) 2012 წლის 10 სექტემბრის №337760 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე მშენებლობის უფლების გარეშე.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 10 სექტემბრის №337760 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.